

1937



საქართველოს საგროთა სოციალისტური რესპუბლიკის  
მუშათა და გლეხთა მთავრობის

# განმცნება და განკარგულებათა პრეგული

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საგროს  
საქმეთა მმართველობის განკარგვა

1937 წ. ოქტომბრის 5.

№ 14

თბილისი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

მიწის, წყლის და ტყის მეურნეობა.  
სოფლის მეურნეობა

99. საქ. სსრ-ის ტერიტორიაზე ტყის დაცვის  
მუშაკებისათვის (ტყის მცველები და ცხენოსანი  
ფარაჯები) სასამართლო მიწის ნაკვეთების ოდე-  
ნობის დაწესების შესახებ.

100. კარტოფილის კულტურის მეთესლეობის  
გამაუმჯობესებელ ღონისძიებათა შესახებ.

ვაჭრობა. მომარაგება

101. სამინდვ გამოსაღების შესახებ.

ფინანსები

102. სახელმწიფო და ადგილობრივ გადასა-  
ხადთა, სავალდებულო დაზღვევის, სავალდებუ-  
ლო ნატურალურ ჩაბარებათა და კოლმეურნეო-  
ბებსა, სარეწაო არტელებსა და ცალკეულ მო-

ჭალაქეებზე დადებულ ჯარიმათა გამო ნარჩე-  
ნების დაწაფარავად ქონების ადმინისტრაციული  
წესით ჩამორთმევის გაუქმების და სასამართლო  
წესის დადგენის შესახებ.

103. 1937 წლის სასოფლო-სამეურნეო გადა-  
სახადის შესახებ.

104. 1937 წელს სოფლის მოსახლეობის  
თვითდაბეგრის შესახებ.

სასამართლო წყობილება და სამართლის  
წარმოება

105. სამომხმარებლო კოოპერაციასა და სა-  
ხელმწიფო ვაჭრობაში მტაცებლობისა და გა-  
ფლანგვის საქმეების გამორჩევ საქ. სსრ უზენაეს  
სასამართლოსთან არსებულ სახალხო სასამარ-  
თლოს სპეციალური სასამართლო კამერის ლიკ-  
ვიდაციის შესახებ.



## მიწის, წყლის და ტყის მეურნეობა. სოფლის მეურნეობა.

### 99. დადგენილება ს.კ.ს.

საქ. სსრ-ის ტერიტორიაზე ტყის დაცვის მუშაკებისათვის (ტყის მცველები და ცხენოსანი დარაჯები) სასამსახურო მიწის ნაკვეთების ოდენობის დაწესების შესახებ.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წ. 1 ივლისის დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1937 წ. № 41, მუხ. 175) შესაბამისად, დაწესდეს საქ. სსრ ტერიტორიაზე ტყის დაცვის მუშაკებისათვის სასამსახურო მიწის ნაკვეთების (სათიბები და საკარმიდამო მიწები) შემდეგი ოდენობა სატყეო საადგილმამულო ფონდიდან:

1. სოფლად არსებულ საადგილმამულო მიწის რაოდენობის დამოუკიდებლად, სატყეო დაცვის ყველა მუშაკს ეძლევა სატყეო სათიბი 2 ჰექტარამდე.

ხსენებულ სათიბით სარგებლობის რაიონულ ნორმებს აწესებს სათანადო სატყეო მეურნეობის, სატყეო მრეწველობის დირექცია რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტთან ერთად.

2. სახნავი და საკარმიდამო მიწები მიეცემათ ტყის დაცვის მუშაკებს, რომელნიც ცხოვრობენ ტყედ სახაზინო სახლებში სამომსახურო ობიექტის ტერიტორიაზე ან მის მახლობლად იმ ნორმების მიხედვით, რომლებიც დაწესებულია სათანადო რაიონებისათვის საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 14 მაისის დადგენილებით თანაბრად კოლმეურნეებისა  $\frac{1}{4}$  ჰექტარიდან 1 ჰექტარამდე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე გ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველი ვ. ბუჯიაშვილი.

1937 წ. აგვისტოს 20.  
თბილისი.

### 100. დადგენილება ს.კ.ს.

კარტოფილის კულტურის მეთესლეობის გამაუმჯობესებელ ღონისძიებათა შესახებ.

ითვალისწინებს რა კარტოფილის ადგილობრივი ჯიშების დაბალ მოსავლიანობას და მაღალხარისხოვან და მაღალმოსავლიან ნათესებზე გადასვლის აუცილებლობას, საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გამოიყოს 1938 წლისათვის კარტოფილის მეთესველ ყველა რაიონში სპეციალური მეთესლეობის ნაკვეთები იმ რაოდენობით, რომელიც უზრუნველ-

ყოფს ამ რაიონების მოთხოვნილებას თესლზე, მოსავლის აღების შემდეგ, გომი წლისათვის (იხ. დანართი, გვერდი რაიონების მიხედვით).

2. რაიონების მეთესლეობის ნაკვეთებისათვის ჯიშისანი კარტოფილის თესლით მომარაგება და დამზადება დაევალოს სახჯიშფონდს იმ რაიონების გამოკლებით, სადაც გატარებული იქნება სათესლე კარტოფილის დამზადება.

3. სათესი კარტოფილის დამამზადებლათ გამოიყოს ახალციხის, ბორჯომის, აღბულაღის, საგარეჯოს და ონის რაიონები და ამ რაიონებში დამზადებაზე იმ რაოდენობით, რაც უზრუნველყოფს მეთესლეობის ნათესებს კარტოფილის თესლით, დაშვებულ იქნას სახჯიშფონდი.

4. 1938 წელს მეთესლეობის ნაკვეთების უზრუნველსაყოფად, გარდა სახჯიშფონდის მიერ მიმდინარე წელს დასამზადებელ 1200 ტონისა, შემოტანილ იქნას რსფსრ-იდან 500 ტონა სათესი კარტოფილი „ლორხ“ და „რანაია როზას“ ჯიშისა.

5. წინადადება მიეცეს რაიადმასკომებს, რაიმიწვანებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს 1938 წ. კარტოფილის სამეურნეო ნათესების მალაღმარისხოვანი თესლით უზრუნველსაყოფად მოაწყონ რაიონის შიგნით კოლმეურნეობათა შორის თესლეულის გაცვლა და ამით უზრუნველყონ მიმდინარე წლის შემოდგომაზე საუკეთესო ნაკვეთების გამოყოფა კარტოფილის სათესლეებისათვის და ამ ნაკვეთებზე გაატარონ:

ა) მძრალად ხენა-სექტემბრის და ნოემბრის თვეში;

ბ) ნაკელის სასუქის დაყრა დაწესებულ რაოდენობით;

გ) საქ. მიწსაზღკომის მიერ დასახული ყველა აგროტექნიკური ღონისძიებები კარტოფილის მეთესლეობის ნათესების მოვლის საქმეში.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ვ. ზაქარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ვ. ბუჯიაშვილი.

1937 წ. აგვისტოს 20.

თბილისი.

გ ე გ მ ა

ქართოფილის ხათესლე ნაკვეთებისა და მისი უზრუნველყოფა თებლის მახლობლი 1938 წლის გაზაფხულის ხასოფლო-ხამეურნეო კამპანიის პერიოდში (ცენტნერებად)

რ ა ი ჲ ნ ე ბ ი	ნათესი ფართობი	თესლის მოთხოვრადღენობა (ცენტ.)	აღჭოღე არის	გაწეებულ იქნება შემოსატან თესლიდან	გაწეებულ იქნება სახარისხფონდიდან
1. ახალქალაქის . . . . .	170	2890	2890	—	—
2. ბოგდანოვკის. . . . .	66	1122	1122	—	—
3. ახალციხის . . . . .	295	5015	4015	1000	—
4. ადრეგენის. . . . .	43	731	731	—	—
5. ასპინძის . . . . .	43	731	221	—	510
6. ხაშურის . . . . .	70	1190	340	200	650
7. გორის . . . . .	30	510	85	200	225
8. კასპის. . . . .	35	595	85	200	310
9. ბორჯომის . . . . .	85	765	465	300	—
10. გურჯაანის . . . . .	38	646	136	—	510
11. სიღნაღის . . . . .	25	425	—	—	425
12. თელავის. . . . .	19	326	—	—	326
13. ყვარლის. . . . .	6	102	3	—	99
14. ლაგოდეხის. . . . .	38	646	221	—	425
15. თბილისის . . . . .	135	2295	395	400	1300
16. ყარაიას . . . . .	25	425	68	—	357
17. ბორჩალოს . . . . .	42	714	204	—	510
18. ლუქსემბურგის . . . . .	55	935	255	—	680
19. წალკის. . . . .	225	3825	3825	—	—
20. ლუშეთის. . . . .	56	952	952	—	—
21. აღბულაღის . . . . .	304	5168	4168	1000	—
22. სავარეჯოს. . . . .	123	2091	1691	400	—
23. ბაშკიჩეთის . . . . .	165	2805	2805	—	—
24. თიანეთის . . . . .	57	969	969	—	—
25. ყაზბეგის. . . . .	9	153	—	—	153
26. სამხრ. ოსეთის ავტ. ოლქი . . . . .	73	1241	1041	—	200
სულ აღმოსავლეთ საქართველოში . . . . .	2322	37267	26887	3700	6680

რ ა ი მ ნ ე ბ ი

	ნათესი ფართობი	თესლის მოთხოვ. რაოდენობა (ცენტ.)	აღვლზე არის	გაშვებულ იქნება მეფისატან თესლი-დან	გაშვებულ იქნება სახზარისფონდებიდან
27. ქუთაისის . . . . .	20	340	—	300	40
28. სამტრედიის. . . . .	5	85	—	—	85
29. წულუკიძის. . . . .	19	326	326	—	—
30. ვანის . . . . .	19	326	326	—	—
31. ბაღდადის . . . . .	15	255	—	200	55
32. ზესტაფონის . . . . .	—	—	—	—	—
33. ჩხარის . . . . .	—	—	—	—	—
34. ჭიათურის . . . . .	55	935	65	200	670
35. ორჯონიკიძის . . . . .	25	426	86	—	340
36. ტყიბულის . . . . .	12	204	34	—	170
37. ონის. . . . .	100	1700	1200	500	—
38. ამბროლაურის . . . . .	25	426	176	—	250
39. ცაგერის. . . . .	3	51	17	—	34
40. ქვემო-სვანეთის . . . . .	2	34	17	—	17
41. აბაშის. . . . .	—	—	—	—	—
42. ცხაკაიას. . . . .	—	—	—	—	—
43. გეგეჭკორის . . . . .	—	—	—	—	—
44. ზუგდიდის . . . . .	3	51	17	—	34
45. ხობის. . . . .	—	—	—	—	—
46. წალენჯიხის . . . . .	—	—	—	—	—
47. ჩხოროწყუს . . . . .	—	—	—	—	—
48. მაზარაძის. . . . .	5	85	—	—	85
49. ლანჩხუთის . . . . .	5	85	—	—	85
50. ჩოხატაურის . . . . .	20	340	100	100	140
51. ზემო-სვანეთის . . . . .	—	—	—	—	—
52. ფოთის . . . . .	—	—	—	—	—
53. აფხაზეთის ასსრ . . . . .	70	1180	160	—	1020
54. აჭარის ასსრ . . . . .	165	2805	510	—	2295
სულ დასაელეთ საქართ. . . . .	568	9654	3034	1300	5320
სულ რესპუბლიკაში . . . . .	2800	46921	29921	5000	12000

## ვაჭრობა. მომარაგება

### 101. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

#### სამინდევ გამოხატების შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წ. 23 ივლის „სამინდევ გამოხატების შესახებ“ გამოცემული დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1937 წ., № 47, მუხ. 190), სრულიად საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. მარცვლეულის დაფქვის, მისი ბურღულად გადამუშავების, ბრინჯის ჩენჩის და ზეთოესლის გადამუშავების საფასური გადახდება ნატურალური ფორმით (სამინდევ გამოხატები) იმ განაკვეთების მიხედვით, რაც დამტკიცებულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ ბრინჯისა და ხორბლის გადამუშავებისათვის, ხოლო დამზადებათა კომიტეტის მიერ—ყველა დანარჩენ კულტურებისათვის.

სამინდევ გამოხატები გადახდევინებულ უნდა იქნას ყველა მარცვლეულ, ცერცოვან, ბურღულის და ზეთოვან კულტურებსა და ბრინჯზე, რომლებსაც გადამამუშავებლად წარმოადგენენ კოლმეურნეობანი, ყველა სისტემის საბჭოთა მეურნეობანი, სხვადასხვა ორგანიზაციათა დამხმარე მეურნეობანი და ერთპიროვნული გლეხური მეურნეობანი, დამოუკიდებლად იმისა, თუ რა წყაროებიდან მიიღეს მათ მარცვლეული.

სამინდევ გამოხატების გადახდა სავალდებულოა ყველა საფქვევ, ბურღულის, ზეთსახდელი, ბრინჯსაჩენჩი საწარმოების, წისქვილებისა და ბრინჯის ქარხნებისათვის, დამოუკიდებლად მათი სიმძლავრისა და კუთვნილებისა.

2. ამა დადგენილების 1 მუხლის გამონაკლისად, სამინდევ გამოხატების გადახდისაგან განთავისუფლებულია:

ა) სახელმწიფო რესურსებიდან მარცვლეული, ბურღული, ცერცოვანი, ბრინჯი და ზეთოვანი კულტურების გადამუშავება ამ კულტურათა პროდუქციის სახელმწიფო მარაგის შესაქმნელად;

ბ) იმ მარცვლეულის, ბურღულის, ცერცოვანი და ზეთოვანი კულტურების გადამუშავება სახელმწიფო სავაჭრო საწარმოებისა და კოოპერაციის მიერ, რაც მიღებულია სახელმწიფო რესურსებიდან ფქვილით, ბურღულით და გამომცხვარი პურიით ვაჭრობისათვის;

გ) იმ მარცვლეულის, ბურღულის და ცერცოვანი კულტურების გადამუშავება სპირტისა და დუდილის სახელმწიფო მრეწველობის მიერ, რაც მიღებულია როგორც ნედლეული სახელმწიფო რესურსებიდან საწარმოო მიზნებისათვის;

დ) საკუთარ წისქვილებში თავის ჯოგის საჭიროებისათვის საფურავე მარცვლეულის და სხვა კონცენტრირებულ საკვების გადამუშავება სპეციალურ მე-

ლორეობის საბჭოთა მეურნეობებში, მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობებში და ფრინველის გამომკვებ პუნქტებში.

3. დატოვებულ იქნას 1927—38 სასოფლო-სამეურნეო წლისათვის სამინდგე გამოსაღების განაკვეთები, რომლებიც მოქმედებდნენ 1936—1937 წ. წ.

4. ამა დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნული ყველა საწარმოო ვალდებულია აწარმოოს მარცვლეულის, ბურღულის, ცერცოვანი, ბრინჯის და ზეთოვანი კულტურების, რომლებსაც სამინდგე გამოსაღების სახით ღებულობენ, განსაკუთრებული აღრიცხვა და მთლიანად ჩააბაროს ისინი საკავშირო გაერთიანება „ზაგოტზერნოს“ დამამზადებელ პუნქტებს და სამომხმარებლო კოოპერაციას („ზაგოტზერნოს“ კონტრაგენტი) იმ ვადებში, რომლებიც ნაჩვენებია უწყებებში სამინდგე გამოსაღების ჩაბარების შესახებ.

5. რაიონისათვის დამტკიცებული სამინდგე გამოსაღების შემოსვლის წლიური გეგმის შესაბამისად, დამზადებათა კომიტეტის რაიონული რწმუნებულები შეიმუშავენ რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის დასამტკიცებლად სამინდგე გამოსაღების გეგმას რაიონის თვითიული საწარმოს მიხედვით.

რაიონის აღმასრულებელი კომიტეტები ვალდებული არიან ხუთი დღის ვადაში განიხილონ და დაამტკიცონ სამინდგე გამოსაღების გეგმა.

თვითიულ საწარმოს ეგზავნება უწყება ამ საწარმოსათვის დაწესებულ სახელმწიფოსათვის სამინდგე გამოსაღების ჩაბარების გეგმის შესახებ იმ ფორმით, რომელსაც დააწესებს დამზადებათა კომიტეტი.

6. რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების დადგენილებანი მინდის ჩაბარების დაწესებული გეგმების შესახებ შეიძლება გასაჩივრებულ იქნას 10 დღის ვადაში მათთვის უწყების ჩაბარების მომენტიდან.

რაიონული აღმასრულებელი კომიტეტები შემოსულ საჩივრებს თავიანთი დასკვნით ხუთი დღის განმავლობაში უგზავნიან სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში საკითხის გადასაწყვეტად.

გადაწყვეტილება სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულისა საქართველოს სსრ-ში საბოლოოა და მისი გასაჩივრება არ შეიძლება.

საჩივრის შეტანა ვერ შეაჩერებს გეგმის მიხედვით სამინდგე გამოსაღების ჩაბარებას.

7. სამინდგე გამოსაღების მტაცებლობისათვის, კერძოდ მისი უკანონოდ ხარჯვისათვის წისქვილების, საფქვაბ-ბურღულის და ზეთსახდელი საწარმოების დირექტორები და გამგეები პასუხს აგებენ სისხლის სამართლის წესით, თანახმად 1932 წლის 7 აგვისტოს კანონისა—„სახელმწიფო საწარმოების, კოლმეურნეობების და კოოპერაციის ქონების დაცვის და საზოგადოებრივი (სოციალისტური) საკუთრების განმტკიცების შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1932 წ., № 62, მუხ. 360).

ამა დადგენილების 1 მუხლში აღნიშნული პროდუქტების გადაუმჯავებიათათვის სამინდო გამოსაღების გადაუხდევინებლად, ამ გამოსაღების უმართებულად გადახდევინებისათვის, ძვირფასი კულტურების უფრო ნაკლებ ძვირფასი კულტურებით შეცვლისათვის, სამინდო გამოსაღების სახით მიღებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დაგროვებისათვის საწარმოებში ისეთი ოდენობის ზევით, რომლის შენახვაც დასაშვებია საწარმოებში, დამამზადებელ პუნქტზე სამინდო გამოსაღების გატანის ვადების სისტემატურად დარღვევისათვის, სამინდო გამოსაღების აღრიცხვის ჩამორჩენისათვის—წისქვილების, საფქვაკვ-ბურღულის და ზეთსახდელ საწარმოების თანამდებობის პირები პასუხს აგებენ სისხლის სამართლის ან დისციპლინარული წესით, როგორც თანამდებობრივი დანაშაულისათვის.

8. წინადადება მიეცეს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში, როგორც კომიტეტული იქნება დამზადებათა კომიტეტის ინსტრუქცია, რომელიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 23 ივლისის დადგენილების მე-7 პუნქტში (სსრკ კან. კრ. 1937 წ., № 47, მუხ. 190), ასეთი დაუყოვნებლივ დაუგზავნოს რაიონებს სახელმძღვანელოდ ამ დადგენილების შეფარდებისათვის.

9. გაუქმებულ იქნას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 8 მაისის № 568 გამოცემული დადგენილება „სამინდო გამოსაღების განაკვეთების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. № 15, მუხ. 90).

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მ. დ. ა. გ. ტურუა.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. ბაქრაძე.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდიენის მ. ა. გ. გოჩაშვილი.

1937 წ. აგვისტოს 23.  
თბილისი.

## შ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

### 102. დადგენილება ს. კ. ს.

სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადთა, სავალდებულო დაზღვევის, სავალდებულო ნატურალურ ჩაბარებათა და კოლმეურნეობებსა, სარეწაო არტელებსა და ცალკეულ მოქალაქეებზე დადებულ ჯარიმათა გამო ნარჩენების დასაფარავად ქონების აღმინისტრაციული წესით ჩამორთმევის გაუქმების და სახამართლო წესის დადგენის შესახებ.

„სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადთა სავალდებულო დაზღვევის, სავალდებულო ნატურალურ ჩაბარებათა და კოლმეურნეობებსა, სარეწაო არტელებსა და ცალკეულ მოქალაქეებზე დადებულ ჯარიმათა გამო ნარჩენების დასაფარავად ქონების აღმინისტრაციული წესით ჩამორთმევის გაუქმების და



სასამართლოს წესის დადგენის შესახებ“, გამოცემულ სსრ კავშირის ლური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წ. აპრილის 11 დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1937 წ. № 30, მუხ. 120) შესაბამისად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

1. სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადთა, სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის, სავალდებულო ნატურალურ ჩაბარებათა და ჯარიმათა ნარჩენების დასაფარავად კოლმეურნეობების, სარეწაო არტელების და ცალკეული მოქალაქეების ქონების ჩამორთმევა შეიძლება მოხდეს მხოლოდ სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებით.

2. მენარჩენის ქონების აღწერას და ჩამორთმევას სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე აწარმოებს საგადასახადო ინსპექტორი ან დაზღვევის ინსპექტორი ისე, რომ აუცილებლად ესწრებოდეს მენარჩენის ოჯახის ერთერთი სრულწლოვანი წევრი და ორი მოწმე, რაზედაც უნდა შესდგეს აქტი დაწესებული ფორმის მიხედვით აღნიშნულ პირთა ხელმოწერით, აღწერილი ქონების ზუსტად დასახელებით და შეფასებით.

3. სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადთა, სავალდებულო დაზღვევის, სავალდებულო ნატურალურ ჩაბარებათა და ჯარიმათა ნარჩენების დასაფარავად ცალკეული მოქალაქეების ქონების ჩამორთმევისა და გაყიდვის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებათა მიხედვით არ შეიძლება ჩამორთმეულ იქნას შემდეგი ქონება:

ა) ტანისამოსი, ფეხსაცმელი, თეთრეული, ქვეშაგები, სამხარეულოს მოწყობილობა, საწოლები, მაგიდები, სკამები, სკივრები, ლამპები, რომლებიც შეადგენენ მენარჩენის და მისი ოჯახის პირადი სარგებლობის საგნებს, ყოველგვარი საბავშვო საგნები;

ბ) საცხოვრებელი სახლი სამეურნეო ნაგებობით ან მისი ნაწილები;

გ) ერთი ძროხა, ან თუ ძროხა არა ჰყავს, ერთი ხბო, ხოლო კოლმეურნეებისაგან აგრეთვე საოჯახო ფრინველი, ცხვარი, თხა, ღორი, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებით დადგენილი ნორმის ნახევრის ფარგლებში, და მათი საკვები;

დ) საკვები პროდუქტები, რაც საჭიროა მენარჩენისა და მისი ოჯახისათვის ახალ მოსავლამდე.

ე) შინამრეწველობის განსაგრძობად აუცილებელი ინსტრუმენტები;

ვ) სოციალური უზრუნველყოფის თანხები, მრავალშვილიანობის გამო დანიშნული სახდახმარება და აგრეთვე ის თანხები, რომლებიც მენარჩენეს ერგება, როგორც სავალდებულო დაზღვევის სადაზღვევეო ჯილდო.

**შენიშვნა.** მარცვლეული შეიძლება ჩამოერთვას ერთპიროვნულ მეურნეობას უდაო წესით მარცვლეულის ჩაბარების ვალდებულების მის მიერ შეუსრულებელი ნაწილის ოდენობით.

ხორცი შეიძლება ჩამოერთვას უდაო წესით ცალკეულ მოქალაქეებს მათ მიერ ხორცის ჩაბარების ვალდებულებათა შეუსრულებელი ნაწილის ოდენობით, გარდა ერთი ძროხისა, ან თუ ძროხა არა ჰყავს—ხბოსი.

მარცვლელის ჩაბარების დარგში ერთპიროვნულ მეურნეობისაგან მარცვლელის ჩამორთმევა ან ხორცის ჩაბარების დარგში მოქალაქეებისაგან ხორცის ჩამორთმევა მოხდება დამზადებათა კომიტეტის რაიონული რწმუნებულის წერილობითი განკარგულების საფუძველზე.

4. გაუქმდეს მეორე კარი სხვადასხვა სახის ქონების ნუსხისა, რომლებზედაც გადასახადისა და არასაგადასახადო გადასახდელის ნარჩენის გადახდევინების მიტევა არ შეიძლება (საქ. სსრ კან. კრ. 1937 წ. № 23, მუხ. 292; 1936 წ. № 10, მუხ. 63).

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი ვ. ბუჯიაშვილი.

1937 წ. აგვისტოს 20.  
თბილისი.

### 103. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

1937 წ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ.

„სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წ. აგვისტოს 7-ის დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1937 წ. № 51, მუხ. 216) შესაბამისად და აგრეთვე „სასოფლო საბჭოების ფულადი გადასახადებისა, სადაზღვევო გადასახადების და ნატურალურ ჩაბარების გამოანგარიშებისა და გადახდევინების მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ“ სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1937 წ. მარტის 21 დადგენილებასთან (სსრკ კან. კრ. 1937 წ. № 22, მუხ. 85) დაკავშირებით, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

განგრძობილ იქნას 1937 წლისათვის მოქმედება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 11 აგვისტოს დადგენილებისა „1937 წ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 21, მუხ. 124), მასში შემდეგი ცვლილებების შეტანით:

1. დაემატოს დადგენილებას მუხლი 13-ა შემდეგი შინაარსისა:

„13-ა. მოხუცებულობის გამო შრომის უნარმოკლებული კოლმეურნეთა მეურნეობანი (სამოცი წელი და უფრო მეტი ხანი), რომელთაც ოჯახში არა ყავთ შრომაუნარიანი წევრები, სრულიად თავისუფლდებიან გადასახადისაგან“.

2. მუხ. 14 მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„14. სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიათ სარაიონო საფინანსო განყოფილებების წარდგენით სრულიად ან ნაწილობრივ გაანთავისუფლონ

გადასახადისაგან კოლმეურნეთა ცალკეული მეურნეობანი (მაგალითად, სტიქიურ უბედურების გამო დაზარალებულნი და სხვ.)“.

3. მუხ. 21 მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„21. დაწესდეს საქართველოს სსრ რაიონებში, ავტონომიურ რესპუბლიკების და ოლქის რაიონების გამოკლებით, გადასახადის გადახდის შემდეგი ვადები:

1-ლი ვადა—1 ოქტომბერი—25 პროცენტი შენაწერი გადასახადისა, მე-2 ვადა—15 ნოემბერი—45 პროცენტი შენაწერი გადასახადისა, მე-3 ვადა—15 დეკემბერი—30 პროცენტი შენაწერი გადასახადისა.

ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები, ზემოდ აღნიშნულ ვადების ფარგლებში, დააწესებენ გადასახადის ვადებს ამ რესპუბლიკებში და ოლქში შემავალ რაიონებისათვის.

4. მუხ. 24 მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„24. ის წყარო, რომლის შემოსავალიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადით იბეგრება, არავითარი სხვა გადასახადით არ დაიბეგრება, გარდა საბილეთო გამოსაღებისა—თევზის სარეწაო ქერის უფლებისათვის.

იმ მიწის ნაკვეთებზე, რომლის შემოსავალიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადით იბეგრება, აგრეთვე იმ აღნაგიან ნაკვეთზე, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო სარგებლობასთან, მიწის რენტა გადახდევინებულ არ უნდა იქნას.

ის შენობა, რომელიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დასაბეგრ მეურნეობის შემადგენლობაში შედის, თავისუფლდება შენობის ადგილობრივ გადასახადისაგან“.

5. მუხ. 25 მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„25. ქალაქ თბილისის, ბათუმის, სოხუმის, ქუთაისის, ფოთის, თელავის, სიღნაღის, გორის, ხაშურის, ბორჯომის, ჭიათურის და ვაგრის ის მოქალაქენი, რომლებიც სოფლის მეურნეობას ეწევიან, სასოფლო-სამეურნეო გადასახადით არ დაიბეგრებიან.

ყველა დანარჩენ ქალაქებში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში მოქალაქენი, რომელნიც სოფლის მეურნეობას ეწევიან, სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაიბეგრებიან როგორც სოფლის მეურნეობის შემოსავლის, ისე არასამიწადმოქმედო საშოვრის მიხედვით.

6. მუხ. 26 მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„26. ის მოქალაქენი, რომელნიც სცხოვრობენ ქალაქ თბილისსა, ბათუმსა, სოხუმსა, ქუთაისსა, ფოთსა, თელავსა, სიღნაღსა, გორსა, ხაშურსა, ბორჯომსა, ჭიათურასა და ვაგრაში და რომელთაც აქეთ სოფლის მეურნეობა ამ ქალაქების გარეშე გადაიხდიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადს იმ შემოსავლის მიხედვით, რასაც ისინი სასოფლო ადგილებში იღებენ. ქალაქად მიღებულ შემოსავლის მიხედვით ისინი დაიბეგრებიან საშემოსავლო და სხვა გადასახადებით ქალაქის დანარჩენ მოსახლეობის თანაბრათ“.

7. მუხ. 33 მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„33. არასამიწათმოქმედო საშოვარი აღირიცხება წინა წლის ივნისის 1-დან მიმდინარე წლის მაისის 31-მდე“.

8. მუხ. 34 პირველი აბზაცი მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„34. არასამიწათმოქმედო საშოვრიდან შემოსავლის ოდენობას თითოეულ ერთპიროვნულ მეურნეობისათვის, რომელსაც აქვს ეს საშოვარი, განსაზღვრავს საგადასახადო ინსპექტორი დოკუმენტალურ მონაცემების, გადამხდელის ჩვენების და სხვა მასალების საფუძველზე, რომლებიც შეკრებილია საგადასახადო ინსპექტორის მიერ და დაამტკიცებს სარაიონო საფინანსო განყოფილების გამგე“.

9. მუხ. 35 გაუქმდეს.

10. მუხ. 36 მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„36. ერთპიროვნულ მეურნეობის შემოსავალი, მიღებული ბაზარზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვით, აღირიცხება წინა წლის ივნისის 1-დან მიმდინარე წლის მაისის 31-მდე“.

11. 37 მუხლის პირველი აბზაცი მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით.

„37. შემოსავლის ოდენობას, რასაც ერთპიროვნული მეურნეობა მიიღებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ბაზარზე გაყიდვით, ამ შემოსავლის მქონე თვითეულ ერთპიროვნულ მეურნეობისათვის, განსაზღვრავს საგადასახადო ინსპექტორი გადამხდელთა ჩვენებისა და სხვა მასალების საფუძველზე, რომლებიც შეკრებილია საგადასახადო ინსპექტორის მიერ და დაამტკიცებს სარაიონო საფინანსო განყოფილების გამგე“.

12. მუხ. 43 მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„43. ერთპიროვნული მეურნეობანი, მოხუცებულობის გამო შრომის უნარ-მოკლებულნი (60 წელი და უფრო მეტი ხანი), რომელთაც ოჯახში არ ყავთ შრომისუნარიანი წევრები, სრულიად განთავისუფლდებიან გადასახადისაგან.“

ერთპიროვნული შრომითი მეურნეობა, რომელსაც არ ჰყავს ოჯახის შრომაუნარიანი წევრი, უკეთუ, ამასთანავე ამ მეურნეობაში არ არის მსხვილფეხა საქონელი, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს, სარაიონო საფინანსო განყოფილების მიერ წარმოდგენილ სიის მიხედვით, შეუძლია სრულიად ან ნაწილობრივ განთავისუფლოს გადასახადისაგან მცირეძალოვნობის გამო“.

13. მუხ. 49 მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„49. სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებული მეურნეობა განთავისუფლდება სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მთლიანად ან ნაწილობრივ მეურნეობისათვის მიყენებული ზარალისა და მეურნეობის ძალოვნობის მიხედვით“.

14. მუხ. 56 მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„56. 55 მუხ. წესისამებრ გადასახადით დაბეგრული მეურნეობანი გადაიხდიან გადასახადს მთლიანად ერთ ვადაში მიმდინარე წლის 1-ლ ოქტომბრისათვის“.

15. მუხ. 57 მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„57. პასუხისმგებლობა გადასახადის სისწორით და დროულად ჩატარებისათვის ეკისრებათ სარაიონო საფინანსო განყოფილებებს“.

16. მუხ. 58—გაუქმდეს.

17. მუხ. 59 მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„59. ყველა დაწესებულებები, წარმოებები და ორგანიზაციები ვალდებული არიან მიაწოდონ საფინანსო ორგანოებს, მათი მოთხოვნილებებისამებრ, ცნობები იმ თანხების შესახებ, რომლებიც გაცემულია გადასახადის გადამხდელზე“.

18. მუხ. მუხ. 60, 61, 62, 63 გაუქმდეს.

19. მუხ. 65 მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„65. შემოსავლის წყაროს გადამალვისათვის გადამხდელი მიიღება პასუხისგებაში სასამართლოს წესით“.

20. მუხ. 66 მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„66. გადასახადის დაწესებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, მენარჩენთა მიმართ მიიღება კანონით დაწესებული ყველა ზომები.

გადასახდელის ვადის გადაცილებისათვის გადახდევინებულ იქნება საურავი შემდეგი რაოდენობით: კოლმეურნეებისაგან და ერთპიროვნულ შრომითი მეურნეობებისაგან 0,1% და სასოფლო-სამეურნეო გადასახადის 55 მუხლის წესისამებრ დაბეგრულ მეურნეობისაგან—1% თვითულ ვადაგადაცილებულ დღისათვის.

მენარჩენთა ქონების აღწერა და გაყიდვა სწარმოებს სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 11 აპრილის (სსრკ კან. კრ. 1937 წ. № 30, მუხ. 120) და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. 10 აგვისტოს დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1937 წ. № 14, მუხ. 103) ზუსტად შესაბამისად და ამასთან მხოლოდ ხარაიონო საფინანსო განყოფილების უბნის საგადასახადო ინსპექტორის მიერ“.

21. მუხ. 68 მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„68. აღნიშნულ დადგენილების შეფარდებისათვის ინსტრუქციის გამოცემა ვგაულებს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს“.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარის მ.დ.ა. გ. ხატურუა.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივნის მ.ა. გ. გოჩაშვილი.

1937 წ. აგვისტოს 23.

თბილისი.

## 104. დადგენილება ს.კ.ს.

## 1937 წელს სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრის შესახებ.

„1937 წელს სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წ. სექტემბრის 11-ის დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

1. გაუქმებულ იქნას საქართველოს სახკომსაბჭოს 1936 წლის აგვისტოს 16-ის № 1004 დადგენილება „1936 წელს სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 21, მუხ. 125) და „1936 წელს სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრის ჩატარების წესის თაობაზე საქ. სსრ ფინსახკომის ინსტრუქციის შესახებ“ გამოცემული ამავე წლის სექტემბრის 27-ის № 1320 დადგენილება.

2. წინადადება მიეცეს აფხაზეთის და აჭარის ასსრ-ის და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და ყველა რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს 1937 წელს სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრის გატარების დროს ზუსტად იხელმძღვანელონ სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახკომსაბჭოს 1937 წლის სექტემბრის 11-ის დადგენილებით „1937 წელს სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრის შესახებ“.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის საქმეთა მმართველი ვ. ბუჯიაშვილი.

1937 წ. სექტემბრის 16.  
თბილისი.

## სასამართლო წყობილება და სასამართლოს წარმოება

## 105. დადგენილება ს.კ.ს.

სამომხმარებლო კოოპერაციასა და სახელმწიფო ვაჭრობაში მტაცებლობისა და გაფლანგვის საქმეების გამრჩევ საქ. სსრ უზენაეს სასამართლოსთან არსებულ სახალხო სასამართლოს სპეციალური სასამართლო კამერიის ლიკვიდაციის შესახებ.

„სამომხმარებლო კოოპერაციასა და სახელმწიფო ვაჭრობაში მტაცებლობისა და გაფლანგვის საქმეების გამრჩევ სახალხო სასამართლოს სპეციალური სასამართლო კამერების ლიკვიდაციის შესახებ“ გამოცემულ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წ. 28 ივლისის დადგენილების (სსრკ კან. კრ.

1937 წ., № 48, მუს. 199) შესაბამისად, საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

1. 1937 წლის 1 სექტემბრიდან ლიკვიდირებულ იქნას სამომხმარებლო კოდპერაციასა და სახელმწიფო ვაჭრობაში მტაცებლობის და გაფლანგვის საქმეების გამრჩევი, საქ. სსრ უზენაეს სასამართლოსთან არსებული სახალხო სასამართლოს სპეციალური სასამართლო კამერა.

2. სპეციალური კამერის ლიკვიდაცია დაევალოს საქ. სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატს.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი ვ. ბუჯიაშვილი.

1937 წ. აგვისტოს 20.  
თბილისი.



ფანი 26 კაბ.

გამომცემელი საქ. სსრ ს. კ. ს-ის 1937 წ. № 27. პ/მ. რედაქტორი ი. შელეზია  
საქმ. მმართველობა

ქაღალდის ფორმატი 62X94 სმ; 1 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი.  
გადაეცა სტამბას 23/IX, ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/X; ტირაჟი 2.000

მთავლიტის რუშ. № A-16967 საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სტამბა შტ. № 1194